

უმჯობესია გქონდეს ცუდი იმიჯი თუ საერთოდ არ გქონდეს?

მარიან ცუცუი

საკვანძო სიტყვები: რეპრეზენტაცია, იმიჯი, სუპერწარმოება, საშინელებათა ფილმი, სატირა

რუმინელები ხშირად ჩივიან, რომ დასავლეთში მათ უარყოფითი მხრიდან წარმოაჩენენ. მე-20 საუკუნეში მეფის ხელისუფლებაც კი იყო ზოგჯერ ჩართული კინოწარმოებაში, რუმინეთის დადებითი კუთხით წარმოსაჩინად. ჩემი აზრით, უმჯობესია, გქონდეს ცუდი იმიჯი, ვიდრე საერთოდ არ გქონდეს.

რუმინელები ხშირად ჩივიან, რომ დასავლურ და ამერიკულ პრესაში, ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაში მათ გამარტივებული და უარყოფითი მხრიდან წარმოაჩენენ. მე-20 საუკუნეში მეფის ხელისუფლებაც კი იყო ზოგჯერ ჩართული კინოწარმოებაში, და არა მხოლოდ დოკუმენტალისტიკაში, რუმინეთის დადებითი კუთხით წარმოსაჩინად. მაგალითად, პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი, „რუმინეთის დამოუკიდებლობა“ (1912 წელი, გრიგორე ბრეზენუ, არისტიდე დემეტრიადე), რომელიც, როგორც ამას სათაური ცხადყოფს, ეძღვნება 1878 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებას, შეიქმნა მეფე კაროლ პირველის მხარდაჭერით, რომელიც ფილმში პერსონაჟად გვევლინება, ასევე შეიარაღებული ძალებისა და ეროვნული თეატრის ხელშეწყობით. ფილმმა დიდი წარმატება მოიპოვა ტრანსილვანიასა და ბუკოვინაში ავსტრია-უნგრეთის იმპერიის პერიოდში, 1918 წლამდე, ასევე საზღვარგარეთ. „რუმინეთის დამოუკიდებლობა“ პატრიოტული სულისკვეთებით წარმოაჩენს 1877-1878 რუსეთ-თურქეთის ომში რუმინეთის მონაწილეობას, რომლის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის დამოუკიდებლობის ლეგიტიმაციას. ეს მოხდა 35 წლის შემდეგ, რუმინეთის სამხედრო ინტერვენციამდე ბალკანეთის მეორე ომში. ამ ფილმის შექმნა იყო ნამდვილი „სუპერწარმოება“, რომელიც შეიძლება შევადაროთ ჯოვანი პასტრონეს ნამუშევრებს, რადგან მას ასევე დიდი წარმატება ხვდა წილად როგორც შინ, ისე უცხოეთში და მასში მონაწილეობდნენ ეროვნული თეატრის ცნობილი მსახიობები და ათასობით სტატისტი. საინტერესოა, რომ მეფე კაროლ პირველი ამ ფილმის ფარგლებში იყო როგორც თანამწარმოებელი, ისე პერსონაჟი და ასევე მაცურებლის როლში დარბაზი-

დან ადევნებდა თვალყურს არისტიდე დემეტრიადეს, რომელიც მასვე განასახიერებდა ახალგაზრდობაში. ფილმში ვიზუალური სახით არის გამოყენებული ვასილუ ალექსანდრის ლექსები კრებულიდან „ჩვენი მებრძოლები“ (1877-1878). ასევე წარმოდგენილი როდიკა (მსახიობი ჯენი მეტაქსა-დორო), როგორც იმავე სახელწოდების ლექსის პერსონაჟის – ლამაზი სოფლელი გოგონას სიმბოლო. პენემ ცურცანული (მსახიობი აურელ ათანასესკუ) არის ერთ-ერთი „იმ ცხრა მებრძოლიდან, სერჟანტის ჩათვლით“, რომლებიც ომში მიდიან ლექსში „პენემ ცურცანული“ (1877). ფეხში დაჭრილ პენემს მეფე ჯილდოს გადასცემს და შინ უშვებს, გზად შინისკენ კი მას რუსი ჯარისკაცები სამხედრო პატივს მიაგებენ. ეს სცენა ალბებულისა ლექსიდან „სერჟანტი“, ხოლო მეზარბაზნის სიკვდილის ეპიზოდი – ლექსიდან „კობუზის სიკვდილი“.

ასევე თვალშისაცემია პარალელური მონტაჟი პირველ სცენებში, როცა პენეში და როდიკა ცეკვავენ, ხოლო სამეფო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ჯარის მობილიზაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, პენეში უნდა დაემშვიდობოს სატრფოს. ეს შთამბეჭდავი კომპოზიცია, ერთი მხრივ, გადმოგვცემს იდეას მინისტრთა საერთო აზრის შესახებ, რომლითაც უბრალო გლეხი ომში უნდა წავიდეს, ხოლო მეორე მხრივ, გვიხატავს ცეკვის ცალსახად იდილიურ სურათს. ასევე აღსანიშნავია ის წარმატება, რომელიც წილად ხვდა შეძლებული პროდიუსერის, ლეონ პოპესკუს და მისი „Leon Popescu Art Film“ სტუდიის ამბიციურ პროექტებს. ჯარების მანევრების შესახებ რამდენიმე დოკუმენტური ფილმის შექმნის შემდეგ ლეონ პოპესკუმ მოიპოვა შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა მხატვრული ფილმების გადასაღებად. მან ასევე უზრუნველყო ხსე-

ნებული ფილმის რამდენიმე ასლის შედენა სკოლის მოსწავლეებისთვის საჩვენებლად და მოიპოვა მეფის ფინანსური მხარდაჭერაც. ამ პროდიუსერმა და დისტრიბუტორმა გამოიჩინა გამჭრიახობა, როცა რუმინელებით დასახლებული ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიაზე (ტრანსილვანია) საჩვენებლად ფილმის სათაური უფრო ნეიტრალური „ბალკანეთის ომით“ შეცვალა.

ცნობილი თალლითი და კრიმინალი, წარმოშობით რუმინელი, ჟორჟ მანოლესკუ (1871-1911) იქცა რამდენიმე გერმანული და ამერიკული ფილმის შთაგონების წყაროდ. იგი თავს არისტოკრატად ასალებდა (პრინც ლაჰოვარის სახელით), აღწევდა ელიტარულ წრეებში და წლების განმავლობაში ქურდობით ირჩენდა თავს. სწორედ მისი თავგადასავლები დაედო საფუძვლად თომას მანის დაუსრულებელ რომანს, „ფელიქს კრულის აღსარება“ (1954) და ერთ-ერთ მოთხრობას 1911 წელს. მას ასევე მიეძღვნა სამი გერმანული ფილმი. მაგალითად, დღეს დაკარგულ ფილმში „მანოლესკუს მემუარები“ (1920, რეჟ. რიჰარდ ოსვალდი), რომელიც წარმოადგენს მისი ცხოვრების დეტალების აღდგენის მცდელობას, მანოლესკუს დედა ასრულებს ერთ-ერთი პერსონაჟის როლს, ხოლო თავად თალლითს განასახიერებს ორი მსახიობი (კონრად ფაიტი, რომლის სპეციალიზაციას სწორედ ბოროტმოქმედთა როლები წარმოადგენდა და ალფრედ კუნე, ხანში შესული მანოლესკუს როლში). „მანოლესკუ – თვითმარტყვიების მეფე“ (1929, რეჟ. ვიქტორ ტურჟანსკი, სცენარი: რობერტ ლიბმანი, ჰანს შეკელი) ეფუძნება ჰანს შეკელის იმავე სახელწოდების მოთხრობას. მანოლესკუს როლს ამ ფილმში ასრულებს ივან მოზუხინი. ერთ-ერთ სცენაში ვხედავთ ბუქარესტის ჩრდილოეთის რკინიგზის სადგურის მაკეტს. დეტექტიურ კომედიაში „მანოლესკუ – ქურდების მეფე“ (1933, რეჟ. გეორგ კლარენი და ვილი ვულფი) მთავარ გმირს განასახიერებს ივან პეტროვიჩი, წარმოშობით სერბი მსახიობი. მანოლესკუ ასევე იქცა შთაგონების წყაროდ ალადარ ლასლოს სენტიმენტალური კომედიის ჟანრის პიესისთვის, „გულწრფელი მაძიებელი“, რომელიც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო ერნსტ ლუბიჩის ფილმს „უსიამოვნება სამოთხეში“ (1932, აშშ). ამ ფილმში მანოლესკუ იქცევა გასტონ მონესკუდ (მსახიობი ჰერბერტ მარშალი).¹ თავის საყვარელთან და თანამზრახ-

ველთან, ლილისთან (მირიამ ჰოპკინსი) წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, მთავარი გმირი იწყებს მუშაობას პარფუმერიის დიზაინერის, მარიეტ კოლეტის (კეი ფრენსისი) კომპანიაში, მაგრამ დროთა განმავლობაში უყვარდება თავისი დამქირავებელი. ფილმში „გააჩრეთ მზის ამოსვლა“ (1941, აშშ, რეჟ. მიტჩელ ლეიბენი, სცენარი: კეტი ფრინგსი, ჩარლზ ბრეკეტი, ბილი უაილდერი) ვხედავთ კიდევ ერთ რუმინელ კრიმინალ პერსონაჟს, სენტიმენტალურ თალლითს, რომელიც მონესკუს მოგვაგონებს და შეიძლება ყოფილიყო კიდევ მისით შთაგონებული. აშშ-ში ლეგალურად შესვლის მიზნით, რუმინელი ჟიგოლო ჟორჟ ისკოვესკუ (შარლ ბუაიე) მექსიკაში ქორწინდება გულუბრყვილო ამერიკელ მასწავლებელზე, ემილი ბრაუნზე (ოლივია დე ჰევილენდი). სიტუაცია რთულდება, როცა თალლითი ხვდება, რომ ბრაუნი მართლაც შეუყვარდა.

ეს სენტიმენტალური კომედია მოთხრობილია მოგონებების სახით, როცა ისკოვესკუ მიდის სტუდიაში „Paramount“ და ცდილობს თავისი თავგადასავლის გაყიდვას. შარლ ბუაიე და პოლეთ გოდარდი ძალიან სიმპათიურად გამოიყურებიან თალლითისა და მოცეკვავის როლებში. ბუაიეს მომხიბვლელობა მაყურებელში აღძრავს სიმპათიას ისკოვესკუს მიმართ, თუმცა ერთ-ერთ სცენაში იგი ცდილობს, მიატოვოს ემილი ისევე, როგორც ოდესღაც მისმა პარტნიორმა, ანიტამ მიატოვა თავისი მეუღლე. მიუხედავად ნაკლებად დამაჯერებელი ფინალისა, ფილმმა წარმატება მოიპოვა და წარდგენილი იყო „ოსკარის“ ექვს ნომინაციაში.

აქვე შეგვიძლია ვახსენოთ კიდევ ერთი რუმინელი, რომელიც მსგავს პერსონაჟად არის გამოყვანილი შედარებით გვიანდელ პერიოდში გადაღებულ ფილმში. ეს არის პარიზის ერთ-ერთი ბისტროს მეპატრონე, კონსტანტინესკუ, მეტსახელად „ულვაში“, რომელსაც განასახიერებს ლუ ჯეიკობი („სათუთი ირმა“, 1963, აშშ, რეჟ. ბილი უაილდერი). ამ ფილმში „ულვაში“ არის ყოფილი პატიმარი, რომელიც თავს „ასალებს“ სხვადასხვა საინტერესო სფეროს პროფესიონალად და აცხადებს, რომ გამოცდილებამ იგი ფილოსოფოსად აქცია. ის არწმუნებს ახალბედა პოლიციელს, ნესტორ პატუს (ჯეკ ლემონი), რომ პატიოსანი პოლიციელის არსებობა ბიანს მიაყენებს მთელი უბნის ეკონომიკურ მექანიზმს. წარსულში ყველა მნიშვნელოვანი პროფესიის აღწე-

1 Todd, Drew, Dandysm and Masculinity.

რას „ულვაში“ ასრულებს ფრაზით: „მაგრამ ეს სხვა ისტორიაა...“ ფილმის სიუჟეტის ყველა ხაზი უკავშირდება „ულვაშს“, რომელიც საბოლოოდ ამჟღავნებს კიდევ თავის უამრავ ნიჭს. იგი ყოფილ პოლიციელს ეხმარება, თავი წარმოაჩინოს ინგლისელ ლორდად, სესხად აძლევს მას ფულს, რათა ეს უკანასკნელი გახდეს მეძავი ირმას ერთადერთი კლიენტი, შემდეგ კი გვევლინება ადვოკატად, რომელიც პატუს ციხიდან გაქცევაში ეხმარება, და მეანადაც კი, როცა ირმას მშობიარობა უწევს.

დიდი ალბათობით, „ულვაშის“ პერსონაჟი არის სცენარის თანაავტორის, წარმოშობით რუმინელის, ი. ა. ლ. დამონდის² ფანტაზიის ნაყოფი. კიდევ ერთი მსგავსი პერსონაჟია რუმინელი არისტოკრატი ლუკანი ფილმში „თურქული გამბიტი“ (2005, რუსეთ-ბულგარეთი, რეჟ. ჯანიკ ფაიზიევი). ეს ფილმი გადაღებულია ბორის აკუნინის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით (2003). ლუკანი ფილმში იქცევა კარიკატურულ პერსონაჟად, რადგან იგი არა მხოლოდ მოლაღატაა, არამედ მექალთანეც. საბოლოოდ მას, ვარვარა სუვოროვას (ოლგა კრასკო) ნაცვლად ბრალს სდებენ ჯაშუშობაში.

ასევე საკმარისია უბრალოდ ვახსენოთ რუმინელი დიდი თავადი, ვლად III ცეპეში (1428/31 – 1476/77), იგივე დრაკულა, რომლის შესახებაც 15 ქვეყანაში შექმნილია არანაკლებ 300 ფილმისა. ეს გახლავთ განსაკუთრებული შემთხვევა, მითუმეტეს, რომ ამ ფილმების უმრავლესობაში დრაკულას თითქმის არაფერი აქვს საერთო რუმინეთთან, რეალურ რუმინელ თავად ვლადთან და მის ბრძოლასთან თურქების წინააღმდეგ რუმინეთში, ბულგარეთსა და ბოსნიაში. ეს პერსონაჟი, რომელიც, როგორც წესი, მომდინარეობს ბრემ სტოუკერის რომანიდან „დრაკულა“ (1897), შერლოკ ჰოლმსის შემდეგ ყველაზე ხშირად გვხვდება ფილმებში.³ მიუხედავად ამისა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა

იყოს, ვამპირების შესახებ ფილმების ორი პაროდია, რომლებშიც მთავარი გმირი დრაკულაა, იძლევა საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. გრაფი ვლადიმირ დრაკულას პერსონაჟი თავად ასკვნის ფილმში „სიყვარული ერთი კბენით“ (1990, აშშ, რეჟ. სტან დრაგოტი): „მე რომ არა, ტრანსილვანია ისევე მოსაწყენი იქნებოდა, როგორც ბუქარესტი... ორშაბათის საღამოს“. მეორე მხრივ, „ვამპირების ცეკვის/ვამპირების უშიშარი მკვლელები“ (1967, აშშ-ბრიტანეთი, რეჟ. რომან პოლანსკი) ეპილოგში პროფესორი აბრონზიუსი (ჯეკ მაკგოვერნი) და მისი ასისტენტი ალფრედი (რომან პოლანსკი) გვევლინებიან, როგორც სასტუმროს მეპატრონის ლამაზი ქალიშვილის, სარა შაგალის (შერონ ტეიტი) მხსნელები, რომელსაც საფრთხე ემუქრება გრაფ ფონ კროლოკისაგან (ფერდი მეინი).

და მაინც, იმ დროს, როცა ისინი ცხენის მარხილით თავს აღწევენ საშინელ ციხესიმაგრეს, სარას ვამპირის ეშვები ეზრდება, რომლებითაც იგი კბენს ალფრედს. შემდეგ მთხრობელი ამბობს: „იმ ღამეს ტრანსილვანიიდან გამოქცეულ პროფესორ აბრონზიუსს ვერც კი წარმოედგინა, რომ თან მოჰქონდა სწორედ ის ბოროტება, რომლის განადგურებისთვისაც იგი იღვწოდა. მისი წყალობით, ეს ბოროტება ახლა მთელ მსოფლიოში გავრცელდება“.

ალბათ, ისედაც გასაგებია, რომ ჯობს, გქონდეს ცუდი რეპუტაცია, ვიდრე საერთოდ უგულებელყოფილი, ყველასთვის უცნობი იყო. ბოლო ათწლეულშიც ეგრეთწოდებული „ახალი რუმინული ტალღა“ პოპულარიზაციას უწევს საბაზრო ეკონომიკაზე რუმინეთის გადასვლის არცთუ ისე მომხიბლავ სურათს. მიუხედავად ამისა, კრისტიან მუნჯიუს, კრისტი პუიუს, კორნელიუ პორუმბოიუს და რადუ ჯუდეს ფილმები დღესაც იზყრობენ მსოფლიო ეკრანებს და მოიპოვებენ ჯილდოებს მნიშვნელოვან ფესტივალებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Miller, Elizabeth, *Reflections on Dracula: Ten Essays*, Transylvania Press, Inc., White Rock, BC, 1997, p.12. See also https://en.wikipedia.org/wiki/Count_Dracula_in_popular_culture (Rendered 29.06.2022).
- Todd, Drew, *Dandysm and Masculinity in Art Deco Hollywood*, In: *Journal of Popular Film and Television*, Volume 32, Issue 4, 2005, pp. 168-181. See also <http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.3200/JPFT.32.4.168-181> (Rendered 29.06.2022).

2 იცეკ დომნიჩის (1920–1988) ფსევდონიმი.

3 Miller, Elizabeth, *Reflections on Dracula: Ten Essays...*

IS IT BETTER TO HAVE A BAD IMAGE THAN TO HAVE NO IMAGE AT ALL?

Marian Țuțui

Keywords: *Representation, image, super production, horror film, spoof*

Romanians have often complained that they are represented in a negative way in the West. In the 20th century, even the government or the king were sometimes involved in the production of films that would promote a favorable image for Romania.

I think it is better to have even a negative image, than not to have one at all.

Romanians have often complained that they are represented in a simplistic and negative way in the Western and American press, literature and films. In the 20th century, even the government or the king were sometimes involved in the production of films, not only documentaries, that would promote a favorable image for Romania. Thus, the first feature preserved till nowadays, *The Independence of Romania* (1912, Grigore Brezeanu, Aristide Demetriade), which, as the title shows, depicts the conquest of independence in 1878, benefited from the support of King Carol I who appears as a character in the film, of the army and of some actors of the National Theatre and enjoyed success in the country, in Transylvania and Bukovina under Austro-Hungarian rule until 1918, as well as abroad. The Independence of Romania (Independența României) is a patriotic reconstruction of the Romanian participation at the Russian-Turkish War of 1877-1878 which legitimated Romania's freedom. It was made 35 years after the event and just before Romania's military intervention in the second Balkan War. It has been a super production comparable with Giovanni Pastrone's contemporary ones which enjoyed success both at home and abroad as the director used prestigious actors of the National Theatre and several thousands of extras. It is interesting that King Carol I has been both co-producer as well as a character in the film so that he could watch actor Aristide Demetriade featuring him as a young man on the front. The film visually transposes some poems by Vasile Alecsandri from the volume *Our Soldiers* (*Ostașii noștri*) (1877-1878) and also includes the character Rodica (featured by Jeni Metaxa-Doro) as a symbol of rural

beauty from a previous poem with the same title. Thus, Peneș Curcanul (featured by Aurel Athanasescu) is one of the "nine or ten, including the sergeant" who goes to war from the poem "Peneș Curcanul" (1877). After being injured at his foot and decorated by the Czar, Peneș returns home and on his way back some Russian soldiers present arms to him. Such episode is taken from another poem "The Sergeant" while for the gunman's death at Calafat the poem "The Death of Cobuz" ("Moartea lui Cobuz") is used (fig. 1).

We can also notice the use of parallel editing in the opening scenes when Peneș dances with Rodica, while the Crown Council decides the mobilization of the army, therefore Peneș will have to say good bye to his beloved. Such composition is impressive and suggests the idea of unity of opinion from ministers to simple peasants on going to war, although the dance scene is downright idyllic. It should be added that the rich Leon Popescu with his studio "Leon Popescu Art Film" was successful at first with his ambitious projects. After making several documentaries with the maneuvers of the army, Leon Popescu benefited from the support of the army for his fictional film, he managed to determine the purchase of several copies of the film for the use of high school students and even get the king's financial support. The producer and distributors were smart enough to change the title of the film to a benign one in the Austro-Hungarian territories inhabited by Romanians such as Transylvania. Thus, a poster from Transylvania preserved until today reminds of the movie *The Balkan War* (*Războiul balcanic*).

Several German and American films were inspired

by a real swindler of Romanian origin George Manolescu (1871-1911), a clever criminal pretending to be an aristocrat (under the false name “Prince Lahovary”) therefore admitted in most exclusive circles without being suspected of robberies for a long time. His adventures inspired Thomas Mann for his unfinished novel “Confessions of Felix Krull” (1954), as well as for a short story as early as 1911. Three German films evoke him. Manolescu’s *Memoirs/ Manolescus Memoiren* (1920, Richard Oswald) is a lost film that tried to reconstruct the life of the famous swindler as in the film his mother is one of the characters and two actors feature him (Conrad Veidt, specialized in villains, respectively Alfred Kuehne as Manolescu as an old man). *Manolescu King of the Impostors/ Der König der Hochstapler* (1929, Viktor Tourjansky, sc. Robert Liebman, Hans Szekely) is based on the story with the same title by Hans Szekely. Ivan Mosjukhin is in the role of Manolescu. In one scene we can see the scale model of the Northern Railway Station in Bucharest. The detective comedy *Manolescu Prince of Thieves/ Manolescu, der Fürst der Diebe* (1933, Georg C. Klaren and Willy Wolff) uses again the hero, featured now by Ivan Petrovich, an actor of Serbian origin. Manolescu also inspired Aladar Lazlo’s sentimental comedy play “The Honest Finder” screened by Ernst Lubitsch in *Trouble in Paradise* (1932, USA). Manolescu becomes Gaston Monescu (featured by Herbert Marshall)¹. According to a previous agreement with his lover and partner Lily (Miriam Hopkins) he begins to work for Mariette Colet (Kay Francis), a perfume designer, but he falls in love with his employer. *Hold Back the Dawn* (1941, USA, Mitchell Leisen, sc. Ketti Frings, Charles Brackett, Billy Wilder) brings to USA a second character of a Romanian criminal, again a sentimental crook that reminds about Monescu, who could have been a source of inspiration. In order to get to USA legally, Georges Iscovescu (Charles Boyer), a Romanian gigolo, marries in Mexico Emily Brown (Olivia de Havilland), a naive American schoolmistress. Complications show up when he finds out that he has fallen in love with her (fig. 2).

The sentimental comedy is told in flash-back as Iscovescu visits Paramount Studios and tries to sell his

story. Charles Boyer and Paulette Goddard are likable in their roles of dancers and swindlers. Boyer’s charm makes the audience sympathetic with Iscovescu although in a certain moment he tries to leave Emily same as his partner Anita did with her husband. In spite of a less convincing ending the film enjoyed success and was nominated for six academy awards.

We can even add other Romanians presented in the same way more recently. One is a bistro owner in Paris called Constantinescu but known as Moustache, featured by Lou Jacob in *Irma la Douce* (1963, USA, Billy Wilder). The character is an ex-con who pretends to have had several interesting occupations before and whose experience makes him a philosopher who tries to calm the zeal of the fresh cop Nestor Patou (Jack Lemmon) by explaining to him that an honest policeman would spoil the entire local economic mechanism. He ends any reference to his previous occupations by saying: “But this is another story.” The plot is always connected with Moustache as he finally proves his many talents. He helps the ex-cop in love to disguise as an English lord, lends him money in order to be Irma’s only customer, and becomes a lawyer and an accomplice to Patou’s escape and even an obstetrician for Irma when she gives birth (fig. 3).

Most probably the co-scriptwriter of Romanian origin I. A. L. Diamond² imagined such a character. The other is Lukan, a Romanian aristocrat in *The Turkish Gambit (Turetskiy gambit)* (2005, Russia- Bulgaria, Dzhanik Fayziev). He is taken from the novel of the same name (2003) by Boris Akunin on which the film’s script is based. He becomes a caricature because he is not only Frenchified, but also a skirt chaser and finally dubious and suspected of being a spy instead of Varvara Suvorova (Olga Krasko).

We could leave aside Romanian prince Vlad III the Impaler (1428/31 – 1476/77) or Dracula about whom no less than 300 films were made in 15 countries. It is a special case, moreover in most cases Dracula has little to do with Romania, the real Romanian prince and his battles against the Turks in Romania, Bulgaria and Bosnia but more with the novel “Dracula” (1897) by Bram Stoker, which represented the source for second most used

1 Todd, Drew, Dandysm and Masculinity.

2 A pseudonym of Itek Domnici (1920-1988).

character in cinema of all time after Sherlock Holmes³. However, as surprising as it may seem two vampire spoofs starring Dracula offer us the conclusions. Count Vladimir Dracula himself concludes in *Love at First Bite* (1990, USA, Stan Dragoti): “Without me, Transylvania will be as exciting as Bucharest... on a Monday night.” On the other hand, in the epilogue of *Dance of the Vampires/The Fearless Vampire Killers* (1967, USA-UK, Roman Polanski) Professor Abronsius (Jack MacGowran) and his assistant Alfred (Roman Polanski) seem to have saved Sarah Shagal (Sharon Tate), the beautiful daughter of the innkeeper from the hands of Count von Krolock (Ferdinand Mayne) (fig.4).

But while they are hastily moving away from the dreadful castle with a horse drawn sleigh Sarah grows

vampire fangs and bites Alfred. Therefore, the narrator concludes:

“That night, fleeing from Transylvania, Professor Abronsius never guessed that he was carrying away with him the very evil he had sought to destroy. Thanks to him, this evil would now be able to spread itself across the world.”

It is probably useless to say that a bad reputation is better than being ignored or unknown. Even in the last decades, the so-called New Romanian Wave promoted a not very flattering image of the Romanian society of transition to market economy, but the films of Cristian Mungiu, Cristi Puiu, Corneliu Porumboiu and Radu Jude conquered the screens around the world and the laurels of the great festivals.

REFERENCES:

- Miller, Elizabeth, *Reflections on Dracula: Ten Essays*, Transylvania Press, Inc., White Rock, BC, 1997, p.12. See also https://en.wikipedia.org/wiki/Count_Dracula_in_popular_culture (Rendered 29.06.2022).
- Todd, Drew, *Dandysm and Masculinity in Art Deco Hollywood*, In: *Journal of Popular Film and Television*, Volume 32, Issue 4, 2005, pp. 168-181. See also <http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.3200/JPFT.32.4.168-181> (Rendered 29.06.2022).

³ Miller, Elizabeth, *Reflections on Dracula: Ten Essays...*



1. რუსი ჯარისკაცები პატივს მიაგებენ პენეს, დაჭილდობულ და დაჭრილ რუმინელ სერჟანტს.
სცენა ფილმიდან „რუმინეთის დამოუკიდებლობა“ (1912, რეჟ. არისტოიდე დემეტრიადე, გრიგორე ბრეჟეანუ)
RUSSIAN TROOPS SHOWING RESPECT TO PENEŞ, A DECORATED AND WOUNDED ROMANIAN SEARGENT.
SCENE FROM THE INDEPENDENCE OF ROMANIA (1912, ARISTIDE DEMETRIADE, GRIGORE BREZEANU)



2. თალლითი ჟორჟ ისკოვესკუ (შარლ ბუაიე) და მიამიტი ემილი ბრაუნი (ოლივია დე ჰავილენდი). სცენა ფილმიდან „გაბრეგეთ მზის ამოსვლა“ (1941, აშშ, მიტჩელ ლეისენი).
SWINDLER GEORGES ISCOVESCU (CHARLES BOYER) AND NAIVE EMILY BROWN (OLIVIA DE HAVILLAND). SCENE FROM HOLD BACK THE DAWN (1941, USA, MITCHELL LEISEN)

3. ბარმენი „უღვაში“ (ლუ ჯეიკობი) ფილმში „სათუთი ირმა“ (1963, ბილი უაილდერი)
BARTENDER MOUSTACHE (LOU JACOBI) IN IRMA LA DOUCE (1963, USA, BILLY WILDER)



4. ალფრედის (რომან პოლანსკი) მიერ სარას (შარონ ტეიტი) გადარჩენა. სცენა ფილმიდან „ვაზპირების ცეკვა/ვაზპირების უშიშარი მკვლელები“ (1967, აშშ-ბრიტანეთი, რომან პოლანსკი).
ALFRED (ROMAN POLANSKI) SAVING SARAH (SHARON TATE).
SCENE FROM THE FEARLESS VAMPIRE KILLERS (1967, USA-UK, ROMAN POLANSKI)